აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო
АҨСНЫТӘИ АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКАТӘ МЧЫЛА АҚӘТЦРА ЗЫҚӘШӘАЗ АУААҨСЫРА РМИНИСТРРА
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

N 706/03
10/12/2025

706--2-202512101653

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს 2025 წლის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2024 წლის ანგარიშს – საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის და გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ. კერძოდ:სამინისტრო ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობის პრინციპით და უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ხელმისაწვდომობას. სამინისტრო ოფიციალურ ვებ გვერდზე (https://www.abkhazia.gov.ge/saministro/MINISTRY-OF-IDPS-OF-THE-AUTONOMOUS-REPUBLIC-OF-ABKHAZIA) ახორციელებს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილებით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის ასახვას.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ინფორმაციის გაცემას შეიცავდა - 37 (ოცდაჩვიდმეტი) წერილი. დადებითი პასუხით დაკმაყოფილდა - 37, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 0, უარყოფითი პასუხით - 0. მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ შემოსულა. შესწორებები საჯარო ინფორმაციაში არ განხორციელებულა. ამასთან, სამინისტრომ საჯარო ინფორმაცია გასცა უსასყიდლოდ. სამინისტროს გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს მოხელეთა პერსონალურ მონაცემებს, კონკურსანტთა და სტაჟიორთა პერსონალურ მონაცემებს. ასევე, ელექტრონული ბაზა, რომელიც შეიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა პერსონალურ მონაცემებს. ხსენებულ ბაზებზე წვდომა გააჩნიათ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს - უფლებამოსილ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2025 წლის მანძილზე სამინისტროს არცერთ თანამშრომელზე არ მომხდარა დისციპლინური სახდელის დადება. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების

0160, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16
16 Vazha-Phsavela ave., Tbilisi, Georgia, 0160
ტელ.: +995 32 2313206; +995 32 2313228; ელ. ფოსტა: idp@abkhazia.gov.ge
Tel.: +995 32 2313206; +995 32 2313228; email: idp@abkhazia.gov.ge

ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - თამარ მამულაშვილი.

პატივისცემით,

დავით ჭედია

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ადმინისტრაციული დეპარტამენტი